ეს კატეგორია დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების კომპანიის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან
- დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდიანებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზარდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა.

იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა).

სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიის შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

	< 30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე	>360
რეზერვი %	2%	5%	10%	25%	50%	100%

ფინანსურ ვალდებულებები*თავდაპირველი აღიარება და შეფასება*

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ წარმოებულად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სესხის და ფინანსური გარანტიებისა, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, როდესაც მათ ფლობენ სავაჭროდ, ან წარმოებულ ინსტრუმენტებად, ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულებით აღნიშვნა.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ვალდებულების გასტუმრება, გაუქმება ან ვადის ამოწურვა. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება მოხდება ახლით, იგივე მსესხებლისგან, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დაკორექტირდება საგრძნობლად, მსგავსი გადაცვლა ან კორექტირება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, სხვაობა შესაბამის მიმდინარე ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები

ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციებისა და შესწორებების მიღება:

ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომავალ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ძალაში შედის შემდეგი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები – ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ფასს 1-ის, ფასს 9-ის, ფასს 16-ის და ბასს 41-ის შესწორებები); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის შესწორებები).

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა კომპანიას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1 იანვრამდე.

კომპანია არ ელოდება, რომ IASB-ის მიერ გამოცემულ სხვა სტანდარტებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ძალაში შესული, მნიშვნელოვანი გავლენა ექნება კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე. სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

ბიოლოგიური აქტივების სალიკვიდაციო ღირებულება და სასიცოცხლო ვადები

კომპანიამ იმსჯელა ბიოლოგიური აქტივების სალიკვიდაციო ღირებულებასა და სასიცოცხლო ვადებზე იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიც არის ფრინველის კვერცხდების ხანგრძლივობა და ინტენსივობა (სასიცოცხლო ვადა) და ფრინველის კვერცხდების შეწყვეტის ან მნიშვნელოვნად შემცირების შემდგომ მის სარეალიზაციო ფასზე (სალიკვიდაციო ღირებულება).

4. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კომპანიის ხელმძღვანელობამ მოახდინა შეცდომის იდენტიფიცირება 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისად მოხდა წინა საანგარიშგებო პერიოდის ნაშთების გადახედვა.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შეცდომის გასწორების ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ანგარიშები	წინა წლის ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება და კლასიფიკაციის ცვლილება	კლასიფიკაციის ცვლილების შემდეგ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,667,430	379,597	2,047,027
სასაქონლო მატერიალური მარგები	1,957,942	(2,357)	1,955,585
წინასწარ გაწეული ხარჯები	2,778	(2,778)	-
ბიოლოგიური აქტივები	1,546,594	3,258	1,549,852
ძირითადი საშუალებები	6,283,693	(136,921)	6,146,772
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(411,663)	128,046	(283,617)
საგადასახადო ვალდებულება	(249,078)	26,391	(222,687)
გაუნაწილებელი მოგება	(4,997,659)	(395,236)	(5,392,895)
მოგება ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგება			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(10,764,402)	(703,045)	(11,467,447)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	106,128	(106,128)	-
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	(2,948,859)	(248,314)	(3,197,173)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,297,156)	985,509	(1,311,647)
საოპერაციო ხარჯები	(445,187)	71,978	(373,209)
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება			
მოგება დაბეგვრამდე	465,118	8,724	473,842
წმინდა სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	24,091	(24,091)	-
შემცირება/(ზრდა) მარაგებში	(861,280)	111,944	(749,336)
გადახდილი პროცენტი	(487,570)	385	(487,185)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	2,197,158	(96,962)	2,100,196

შპს „კუმისი XXI“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019 (არააუდიტირებული)
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	49,481	75,526
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	447,737	452
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები:	497,218	75,977

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)
მოთხოვნები	2,244,841	1,943,118
ავანსები	891	65,829
სხვა მოთხოვნები	24,779	38,080
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებამდე	2,270,511	2,047,027
გაუფასურების რეზერვი	(303,647)	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	1,966,864	2,047,027

8. სასაქონლო მატერიალური მარგები

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარგები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)
ნედლეული და მასალები	351,867	1,730,052
დაუმთავრებელი წარმოება	108,469	71,903
მზა პროდუქცია	116,166	153,630
სხვა მასალები	74,358	-
სულ სასაქონლო მატერიალური მარგები:	3,817,663	1,955,585

9. ბიოლოგიური აქტივები

კომპანიის ბიოლოგიური აქტივები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

31 დეკემბერი 2020	ქათამი	წიწილა	სულ
საწყისი ნაშთი	1,190,045	359,806	1,549,851
წმიდა მატება/(კლება)	2,300,484	(300,522)	1,999,962
ცვეთა	(75,521)	-	(75,521)
ფრინველის ჩამოწერა	(142,723)	(59,284)	(202,007)
გაზრდის ხარჯები	(1,000,259)	-	(1,000,259)
სულ ბიოლოგიური აქტივები:	1,081,980	(359,806)	2,272,026
31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)	ქათამი	წიწილა	სულ
საწყისი ნაშთი	1,306,156	-	1,306,156
წმიდა მატება/(კლება)	388,665	239,467	628,132
ცვეთა	(1,213,951)	-	(1,213,951)
გაყიდვები	(104,565)	-	(104,565)
ფრინველის ჩამოწერა	(111,788)	(54,761)	(166,549)
გაზრდის ხარჯები	-	1,100,629	1,100,629
სულ ბიოლოგიური აქტივები:	264,517	1,285,335	1,549,852

შპს „კუმისი XXI“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავტო სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობები	სულ
31 დეკემბერი, 2018 (არააუდიტირებული)	34,689	2,885,049	4,694,533	512,711	210,016	8,336,998
შემოსვლა	-	-	573,884	104,922	8,223	687,029
შიდა მოძრაობა	-	217,458	1,842,398	-	1,055	2,060,911
გასვლა	-	-	(1,369,400)	(60,752)	(15,512)	(1,445,664)
31 დეკემბერი, 2019 (არააუდიტირებული)	34,689	3,102,507	5,741,415	556,881	203,782	9,639,274
შემოსვლა	-	159	943,239	84,698	22,996	1,051,092
შიდა მოძრაობა	-	389,202	(395,541)	3,248	3,090	(1)
გასვლა	-	-	(330,969)	-	-	(330,969)
31 დეკემბერი, 2020	34,689	3,491,868	5,958,144	644,827	229,868	10,359,396
აკუმულირებული ცვეთა						
31 დეკემბერი, 2018 (არააუდიტირებული)	-	(571,323)	(2,503,779)	(207,959)	(165,618)	(3,448,679)
დარიცხვა	-	(70,251)	(334,551)	(60,752)	(15,512)	(481,066)
ამობრუნება	-	-	437,243	-	-	437,243
31 დეკემბერი, 2019 (არააუდიტირებული)	-	(641,574)	(2,401,087)	(268,711)	(181,130)	(3,492,502)
დარიცხვა	-	(83,916)	(394,021)	(62,809)	(19,376)	(560,122)
ამობრუნება	-	-	153,198	-	-	153,198
31 დეკემბერი, 2020	-	(725,490)	(2,641,910)	(331,520)	(200,506)	(3,899,426)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი, 2020	34,689	2,766,378	3,316,234	313,307	29,362	6,459,970
31 დეკემბერი, 2021	34,689	2,833,096	2,946,132	368,998	35,958	6,218,873

*2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაცვეთილია 828,006 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებები (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 693,351 ლარის ძირითადი საშუალებები);

* 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას სესხის უზრუნველყოფის საგანს წარმოადგენს უძრავი და მოძრავი ქონება.

11 . სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)
სავაჭრო ვალდებულებები	1,176,016	153,385
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	160,654	128,832
		1,400
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:	1,336,670	283,617

შპს „კუმისი XXI“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

მიმდინარე სესხები	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	ვალუტა	მოკლევადიანი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	გრძელვადიანი
				31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)
სესხები ფიზიკური			დოლარ				
პირებისგან	3%	31-დეკემბერი-23	ი	-	4,436,000	19,308	-
სესხები ფიზიკური პირებისგან	0%	25-აპრილი-21	დოლარი	982,980	-	-	-
ბანკის სესხი	12%	15-ივლისი-21	ლარი	2,000,000	-	-	-
ბანკის სესხი	12%	30-აგვისტო-21	ლარი	1,666,000	-	-	-
ბანკის სესხი	საბაზისო +6.5%	31-დეკემბერი-20	ლარი	-	151,624	-	-
ბანკის სესხი	14.50%	17-ნოემბერი-22	ლარი	-	-	-	-
ბანკის სესხი	1.50%	19-აპრილი-21	ლარი	91,912	255,727	-	91,912
ბანკის სესხი	0.50%	17-იანვარი-25	ლარი	126,689	52,064	181,247	-
ბანკის სესხი	0.50%	15-მაისი-23	ლარი	-	-	-	53,525
ბანკის სესხი	0.50%	19-ივლისი-23	ლარი	37,778	15,475	15,747	-
ბანკის სესხი	0.50%	15-იანვარი-25	ლარი	-	-	-	307,936
ბანკის სესხი	0.50%	04-მაისი-25	ლარი	-	-	-	265,102
ბანკის სესხი	0.50%	04-მაისი-25	ლარი	-	-	-	132,551
ბანკის სესხი	0.50%	07-მაისი-25	ლარი	95,021	24,898	170,081	-
ბანკის სესხი	0.50%	07-მაისი-25	ლარი	47,511	12,449	85,040	-
ბანკის სესხი	0.50%	21-მაისი-25	ლარი	-	-	-	67,673
ბანკის სესხი	0.50%	27-მაისი-25	ლარი	24,291	6,327	43,382	-
სესხები ფიზიკური პირებისგან	0.50%	21-თებერვალი-18	ლარი	-	29,307	-	-
ბანკის სესხი	12.50%	13-იანვარი-23	ლარი	984,169	-	115,704	-
ბანკის სესხი	12.50%	07-მარტი-25	ლარი	145,730	-	237,388	-
ბანკის სესხი	12.50%	09-მარტი-27	ლარი	21,989	-	75,460	-
ბანკის სესხი	15%	18-მარტი-22	ლარი	59,388	-	-	-
ბანკის სესხი	0.75%	15-ივლისი-24	ლარი	33,483	-	116,517	-
ბანკის სესხი	0.75%	15-ივლისი-24	ლარი	16,741	-	58,259	-
ბანკის სესხი	0.75%	15-ივლისი-24	ლარი	33,483	-	41,517	-
ბანკის სესხი	12%	05-თებერვალი-24	ლარი	500,048	-	999,954	-
სულ სესხები				6,867,213	4,983,871	2,159,604	918,699

შპს „კუმისი XXI“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. მიღებული სესხები (გაგრძელება)

* 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში კომპანია იღებს თანადაფინანსებას ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოსგან“ ბანკისგან აღებული სესხის ძირითადის წლიური 11%-ის ოდენობით.

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)
მიღებული სესხების ძირი	8,183,438	5,415,385
დარიცხული პროცენტი	843,379	487,185
სულ მიღებული სესხები	9,026,817	5,902,570

13. გადასახდელი დივიდენდები

კომპანიის გადასახდელი დივიდენდები შედგება გაცხადებული მაგრამ მფლობელებისთვის ჯერ არ გადახდილი დივიდენდებისგან რომელთა გადახდაც უნდა განხორციელდეს ფულადი სახით.

14. შემოსავალი

შემოსავალი 2020 და 2019 წლის დასრულებული პერიოდისთვის :

	2020	2019 (არააუდიტირებული)
საბითუმო გაყიდვები	20,946,294	18,828,022
საცალო გაყიდვები	668,167	341,398
უკან დაბრუნებები	(2,279,644)	(1,849,389)
სულ შემოსავალი	19,334,817	17,320,031

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2020 და 2019 წლის დასრულებული პერიოდისთვის:

	2020	2019 (არააუდიტირებული)
კვერცხი	11,729,336	10,848,979
ნედლეული	143,874	185,386
ქათამი	82,125	196,437
მელანჟი	153,027	235,760
სხვა	304,056	885
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12,412,418	11,467,447

16. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები

გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები 2020 და 2019 წლის დასრულებული პერიოდისთვის :

	2020	2019 (არააუდიტირებული)
სარეკლამო ხარჯები	2,238,174	1,768,328
ხელფასის ხარჯი	822,527	809,279
საწვავის ხარჯები	249,866	283,959
სხვა	136,620	335,607
სულ გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	3,447,187	3,197,173

შპს „კუმისი XXI“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2020 და 2019 წლის დასრულებული პერიოდისთვის :

	2020	2019 (არააუდიტირებული)
ცვეთის ხარჯი	564,869	485,754
ხელფასის ხარჯი	1,029,304	380,004
მოვლა შენახვის ხარჯები	333,835	109,994
გაუფასურების რეზერვი	303,647	-
საგადასახადო ხარჯი	78,797	64,088
თანამშრომელთა სარგებელი	83,447	44,185
საწვავის ხარჯი	15,742	21,361
დაზღვევის ხარჯი	53,630	49,470
ბანკის საკომისიო	46,832	26,605
მომსახურების ხარჯები	12,007	39,680
სამეურნეო ხარჯი	18,847	17,296
საკომუნიკაციო ხარჯები	19,030	18,252
საოფისე ხარჯი	7,117	6,045
სხვა	83,665	48,913
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,650,769	1,311,647

18. არასაოპერაციო შემოსავალი

საოპერაციო ხარჯები 2020 და 2019 წლის დასრულებული პერიოდისთვის :

	2020	2019 (არააუდიტირებული)
გრანტი	148,069	106,128
საგადასახადო შემოსავალი	139,832	-
ინვენტარიზაციისას გამოვლენილი ზედმეტობა	124,352	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	33,116	241,429
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	445,369	347,557

19. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება.

19. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2018 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)
საგადასახადო ვალდებულებები		
გადასახდელი მოგების გადასახადი	69,220	6,093
საშემოსავლო გადასახადი	76,574	31,053
დღგ	975	185,728
დაგროვებითი პენსია სოციალური გადასახადი	15,924	13,311
დაგროვებითი პენსია დეკლარაცია	-	-
ქონების გადასახადი	13,113	10,332
საგადასახადო აქტივი		
სხვა საგადასახადო აქტივი	(43,756)	(23,830)
სულ, წმინდა საგადასახადო ვალდებულება	132,050	222,687

* საგადასახადო აქტივები და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე

20. არასაოპერაციო ხარჯები

	2020	2019
დანაკლისის ხარჯი	72,185	85,081
საწვავის ხარჯი	14,935	19,630
საგადასახადო ხარჯი	21,463	33,606
სასაჩუქრე ხარჯი	6,474	45,352
თანამშრომელთა სარგებელი	14,320	22,128
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან	178,511	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	125,458	151,287
სულ არასაოპერაციო ხარჯი	433,345	357,084

21. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები**საგადასახადო კანონმდებლობა.**

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს.

ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების აღრიცხვის დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

შპს „კუმისი XXI“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

22. ფინანსური რისკის მართვა

სავალუტო რისკი

კომპანია არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან ნაჩვენებია და აღწერილია ქვემოთ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

31 დეკემბერი 2020	ლარი	ევრო	დოლარი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	49,481	-	447,737	497,218
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,965,973	-	-	1,965,973
სულ ფინანსური აქტივები	2,015,454	-	447,737	2,463,191
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,336,670	-	-	1,336,670
მიღებული სესხები	8,024,529	-	1,002,288	9,026,817
საგადასახადო ვალდებულებები	132,050	-	-	132,050
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,493,249	-	1,002,288	10,495,537
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(7,477,795)	-	(554,551)	(8,032,346)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)	ლარი	ევრო	დოლარი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	75,526	-	452	75,977
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,981,198	-	-	1,981,198
სულ ფინანსური აქტივები	2,056,724	-	452	2,057,175
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	283,617	-	-	283,617
მიღებული სესხები	5,902,571	-	-	5,902,571
საგადასახადო ვალდებულებები	222,687	-	-	222,687
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,408,875	-	-	6,408,875
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(4,352,151)	-	452	(4,351,700)

წარმოდგენილი ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის დამოკიდებულებას 15%-იან ზრდასთან და ლარის გაუფასურებასთან დოლარის და ევროს მიმართ. 15% წარმოდგენს ხელმძღვანელობის დამოკიდებულებას შესაძლო საკურსო ცვლილებებთან. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მონეტარულ საბალანსო ნაშთებს და აკორექტირებს ამ ნაშთებს 15%-იანი საკურსო სხვაობის მერყეობით. დადებითი რიცხვი წარმოადგენს მოგების ან ზარალის ზრდას, სადაც ლარი მყარდება წარმოდგენილი ვალუტის მიმართ:

22. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

2020 დოლარის ეფექტი			2020 ევროს ეფექტი	
ზრდა 15%	შემცირება 15%		ზრდა 15%	შემცირება 15%
მოგება/(ზარალი)	(83,183)	83,183	-	-
2019 დოლარის ეფექტი			2019 ევროს ეფექტი	
ზრდა 15%	შემცირება 15%		ზრდა 15%	შემცირება 15%
მოგება/(ზარალი)	68	(68)	-	-

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადია საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე, რაც განპირობებულია კომპანიის მიერ აღებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებით.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)
ფული და ფულის ეკვივალენტები	497,218	75,977
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,269,620	1,981,198
სულ საკრედიტო რისკი	2,766,838	2,057,175

ლიკვიდურობის რისკი

წარმოადგენს რისკს რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

22. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

31 დეკემბერი 2020	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	497,218	-	497,218
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,966,864	-	1,966,864
სულ აქტივები	2,464,082	-	2,464,082
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,336,670	-	1,336,670
მიღებული სესხები	6,867,213	2,159,604	9,026,817
საგადასახადო ვალდებულებები	132,050	-	132,050
სულ ვალდებულებები	8,335,933	2,159,604	10,495,537
ლიკვიდურობის გარღვევა	(5,871,851)	(2,159,604)	(8,031,455)

31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	75,977	-	75,977
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,047,027	-	2,047,027
სულ აქტივები	2,123,004	-	2,123,004
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	283,617	-	283,617
მიღებული სესხები	4,983,871	-	4,983,871
საგადასახადო ვალდებულებები	222,687	-	222,687
სულ ვალდებულებები	5,490,176	-	5,490,176
ლიკვიდურობის გარღვევა	(3,367,172)	-	(3,367,172)

23. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს

წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია 9 (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.

შპს „კუმისი XXI“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

22. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები (გაგრძელება)

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია ქვემოთ:

ძირითადი მენეჯმენტის კომპენსაცია:

	2020	2019 (არააუდიტირებული)
ხელფასები	124,318	84,210
სხვა სარგებელი	-	18,063
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან არის შემდეგი:		

	2020	2019 (არააუდიტირებული)
ხელფასები	31,300	84,210
სხვა სარგებელი	-	18,063
აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან:		

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,028	1,500
ნასესხები სახსრები	1,002,288	4,465,308

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2022 წლის 22 სექტემბერი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენას:

- 2021 წლის განმავლობაში კომპანიამ აიღო 21,965,227 ლარის ღირებულების სესხი და გადაიხადა 19,634,380 ლარის სესხი საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს კუმისი XXI

ქ. თბილისი

2022

შპს „კუმისი XXI“

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

შინაარსი

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები:	31
2. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების შესახებ:.....	31
3. კომპანიის განვითარების გეგმები:.....	31
4. ინფორმაცია აქციების შესახებ:.....	31
5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები:	31
6. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	34

შპს „კუმისი XXI“

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები:

შპს კუმისი XXI მა ფუნქციონირება დაიწყო 2005 წლის 3 ნოემბერს.

საწარმო ფაქტიური და იურიდიული მისამართი არის: გარდაბნის რაიონი, სოფელი კუმისი.

საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს *ქათმის კვერცხის წარმოება* და რეალიზაცია საქართველოს მასშტაბით. კომპანიამ შეძლო და არსებობის 16 წლიან პერიოდში დაიკავა დარგის (ქათმის კვერცხის წარმოება) ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია.

შპს კუმისი XXI საწარმოო პროცესში ახდენს ერთდღიანი წიწილის (მეკვერცხულის ჯიში - Lohmann LSL Classic (თეთრი ფერის კვერცხის წარმოებისთვის) და Lohmann Sandy (ფერადი კვერცხის წარმოებისთვის) იმპორტს (თურქეთი; ჰოლანდია) და შემდეგ ახდენს წიწილის გამოზრდას (კომპანია ფლობს წიწილის გამოსაზრდელ კომპლექსს სოფელ კუმისში, რომელიც განვითარების ამ ეტაპზე სრულად აკმაყოფილებს კომპანიის საჭიროებებს).

საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია საკვებ-საამქრო, სადაც ხდება კომბინირებული საკვების წარმოება (როგორც წიწილისთვის, ასევე ზრდასრული მეკვერცხული ქათმისთვის).

კომპანია წარმოებული პროდუქციის (ქათმის კვერცხი) რეალიზაციას ახდენს მთელი საქართველოს მასშტაბით საკუთარი სადისტრიბუციო სამსახურისა და დილერების (აჭარა; იმერეთი) მეშვეობით. კომპანია ფლობს საერთაშორისო სერტიფიკატს : ISO 22000-ს.

2. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების შესახებ:

1. ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. (ვაგზალი) - საწყობი
2. ქ. ბათუმი, გოგოლის ქუჩა - საწყობი

3. კომპანიის განვითარების გეგმები:

მსოფლიო პანდემიის გამო, კომპანიას 2020-2021 წლებში მოუწია საკუთარი წარმოების გეგმების გადახედვა/შემცირება. 2022-2023 წლებში დაგეგმილია საწარმოს სიმძლავრეების მაქსიმალური დატვირთვა (რაც ნიშნავს არსებულთან შედარებით 10-15 %-ით მეტი პროდუქციის წარმოებას).

4. ინფორმაცია აქციების შესახებ:

კომპანია არ ფლობს სხვა სუბიექტების აქციებს და ასევე არ ვაჭრობს საკუთარი აქციებით.

5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები:

- რადგან საქართველოში არ იწარმოება საკმარისი მოცულობის მარცვლეული, გვაქვს მაღალი დამოკიდებულება იმპორტზე (რუსეთი; უკრაინა) . აქედან გამომდინარე, არის შეფერხებები მოწოდებაში და ფასებიც მუდმივად ცვალებადია (მატულობს), ხშირად ვერ ვახერხებთ დროულად სარეალიზაციო ფასების ადექვატურ ზრდას ;
- ვეტერინარული გარემო: ქვეყანაში ბევრი, შედარებით მცირე ზომის, მწარმოებელია - რომლებიც მკაცრად არ აკონტროლებენ ვეტერინარულ სიტუაციას თავიანთ საწარმოებში, რომელიც ზრდის ქვეყანაში ვეტ. დაავადებების რისკს;

შპს „კუმისი XXI“

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

არსებული ინფორმაციისა (ფინანსური, არაფინანსური) და მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ აქვს ყველა საჭირო რესურსი (ადამიანური; ფინანსური; მატერიალურ-ტექნიკური) რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება.

რისკის უმთავრესი სახეებია: სავალუტო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

სავალუტო რისკი

31 დეკემბერი 2020	ლარი	ევრო	დოლარი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	49,481	-	447,737	497,218
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,965,973	-	-	1,965,973
სულ ფინანსური აქტივები	2,015,454	-	447,737	2,463,191
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,336,670	-	-	1,336,670
მიღებული სესხები	8,024,529	-	1,002,288	9,026,817
საგადასახადო ვალდებულებები	132,050	-	-	132,050
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,493,249	-	1,002,288	10,495,537
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(7,477,795)	-	(554,551)	(8,032,346)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

31 დეკემბერი 2019	ლარი	ევრო	დოლარი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	75,526	-	452	75,977
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,981,198	-	-	1,981,198
სულ ფინანსური აქტივები	2,056,724	-	452	2,057,175
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	283,617	-	-	283,617
მიღებული სესხები	5,902,571	-	-	5,902,571
საგადასახადო ვალდებულებები	222,687	-	-	222,687
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,408,875	-	-	6,408,875
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	(4,352,151)	-	452	(4,351,700)

2020 დოლარის ეფექტი		2020 ევროს ეფექტი	
ზრდა 15%	შემცირება 15%	ზრდა 15%	შემცირება 15%
მოგება/(ზარალი)	(83,183)	83,183	-
2019 დოლარის ეფექტი		2019 ევროს ეფექტი	
ზრდა 15%	შემცირება 15%	ზრდა 15%	შემცირება 15%
მოგება/(ზარალი)	68	(68)	-

შპს „კუმისი XXI“

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული და ფულის ეკვივალენტები	497,218	75,977
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,269,620	1,981,198
სულ საკრედიტო რისკი	2,766,838	2,057,175

ლიკვიდურობის რისკი

31 დეკემბერი 2020	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	497,218	-	497,218
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,966,864	-	1,966,864
სულ აქტივები	2,464,082	-	2,464,082
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,336,670	-	1,336,670
მიღებული სესხები	6,867,213	2,159,604	9,026,817
საგადასახადო ვალდებულებები	132,050	-	132,050
სულ ვალდებულებები	8,335,933	2,159,604	10,495,537
ლიკვიდურობის გარღვევა	(5,871,851)	(2,159,604)	(8,031,455)

31 დეკემბერი 2019	ერთ წელზე ნაკლები	ერთ წელზე მეტი	სულ
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	75,977	-	75,977
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,047,027	-	2,047,027
სულ აქტივები	2,123,004	-	2,123,004
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	283,617	-	283,617
მიღებული სესხები	4,983,871	-	4,983,871
საგადასახადო ვალდებულებები	222,687	-	222,687
სულ ვალდებულებები	5,490,176	-	5,490,176
ლიკვიდურობის გარღვევა	(3,367,172)	-	(3,367,172)

შპს „კუმისი XXI“

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

6. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020 (არააუდირებული)
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
<i>მიმდინარე აქტივები</i>		
ფული და ფულის ეკვივალენტები	497,218	75,977
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,966,864	2,047,027
სასაქონლო მატერიალური მარგები	3,817,663	1,955,585
ბიოლოგიური აქტივები	2,272,026	1,549,852
სულ მიმდინარე აქტივები	8,553,771	5,628,441
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>		
ძირითადი საშუალებები	6,459,970	6,146,772
არამატერიალური აქტივები	26,897	26,557
სულ გრძელვადიანი აქტივები	6,486,867	6,173,329
სულ აქტივები	15,040,638	11,801,770
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,336,670	283,617
მიღებული სესხები	6,867,213	4,983,871
საგადასახადო ვალდებულება	132,050	222,687
გადასახდელი დივიდენდები	680,000	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	9,015,933	5,490,176
"მიღებული სესხები	2,159,604	918,699
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2,159,604	918,699
სულ ვალდებულებები	11,175,537	6,408,875
კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	3,865,101	5,392,895
სულ კაპიტალი	3,865,101	5,392,895
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	15,040,638	11,801,770

შპს „კუმისი XXI“

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

6. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

		2019
<i>სრული შემოსავლის ანგარიშგება</i>	2020	(არააუდიტირებული)
შემოსავალი	19,334,817	17,320,031
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(12,412,418)	(11,467,447)
საერთო მოგება	6,922,399	5,852,584
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	(3,447,187)	(3,197,173)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,650,769)	(1,311,647)
საოპერაციო ხარჯები	(544,195)	(373,209)
საოპერაციო მოგება	280,248	970,554
არასაოპერაციო შემოსავალი	445,369	347,557
საკურსო მოგება/(ზარალი)	(28,367)	-
საპროცენტო ხარჯი	(843,379)	(487,185)
არასაოპერაციო ხარჯი	(433,346)	(357,084)
მოგება დაბეგვრამდე	(579,475)	473,842
მოგების გადასახადი	(68,740)	-
წმინდა მოგება	(648,215)	473,842

გოგიტა მაისურაძე, დირექტორი

23 დეკემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

შპს „კუმისი XXI“

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

6. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

	2020	2019 (არააუდირებული)
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
შემოსავალი	19,334,817	17,320,031
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(12,412,418)	(11,467,447)
საერთო მოგება	6,922,399	5,852,584
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	(3,447,187)	(3,197,173)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,650,769)	(1,311,647)
საოპერაციო ხარჯები	(544,195)	(373,209)
საოპერაციო მოგება	280,248	970,554
არასაოპერაციო შემოსავალი	445,369	347,557
საკუროსო მოგება/(ზარალი)	(28,367)	-
საპროცენტო ხარჯი	(843,379)	(487,185)
არასაოპერაციო ხარჯი	(433,346)	(357,084)
მოგება დაბეგვრამდე	(579,475)	473,842
მოგების გადასახადი	(68,740)	-
წმინდა მოგება	(648,215)	473,842

გოგიტა მაისურაძე, დირექტორი

23 დეკემბერი, 2022



თბილისი, საქართველო